ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ70. 702315650**

თარიღი:**05/06/2023**

ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 118–ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, 2023 წლის 28 თებერვლის N431 საქართველოს მთავრობის განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ და „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის #54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის #27 განკარგულების საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზება:

ა) სოფელ ჩიხაში N 35.02.49.415 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა-ნაგებობა (ყოფილი აეროდრომის ადმინისტრაციული) N1 (არასაცხოვრებელი) საერთო ფართი 216 კვ.მ; საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის გათვალისწინებით 1.00 ლარით. „ბე“ და ბიჯი საწყისი საფასურის 10–10 პროცენტი.

ბ) სოფელ სხვიტორში N35.02.43.103 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა ნაგებობა N 02/1 საერთო ფართობი 168კვ.მ; საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის გათვალისწინებით 1.00 ლარით. „ბე“ და ბიჯი საწყისი საფასურის 10–10 პროცენტი.

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2023 წლის 9 ივნისი 12.00 საათი და დასრულების დროდ ამავე წლის 16 ივნისი 12.00 საათი.

3. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი